09/06/2019

ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის ახალ ტაძარში პირველ წირვას ილია მეორე ჩაატარებს

ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის ახალ ტაძარში პირველ წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩაატარებს.

წმინდა ნინოს სახელობის ახლად აშენებული ტაძარი დღეს იკურთხება.

ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძრის კურთხევა 08:00 საათზე დაიწყება. საზეიმო წირვას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე წმინდა სინოდის წევრებთან და სამღვდელოებასთან ერთად 10:00 საათზე აღავლენს.

– 1tv